

**ფოლკლორულ ჟანრთა გენეტიკური კავშირისათვის
(ანდაზა, აფორიზმი, ფილოსოფიური ლექსი)**

თინა შიოშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პროფესორი
ელ-ფოსტა: tina.shioshvili@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-4745-9260>

თამარ მაჭუტაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: t.matchutadze@bsu.edu.ge
ORCID: <https://orcid.org/0000-0002-5709-9764>

აბსტრაქტი. ხელოვნების ნებისმიერი დარგისათვის, უაღრესი სოციალურობის გამო, უცნობა კარჩაკეტილობა; ეს მით უფრო ითქმის ზეპირსიტყვიერებაზე, რომლის უმთავრესი სპეციფიკა კოლექტიურობა - მრავალთა გულისთქმის გადმოცემა და სოციუმის ყველა ფენის სულიერ ქურაში გამოწრთობა, რაც ფოლკლორულ შემოქმედებაში ჟანრთა შორის გენეტიკურ კავშირში ვლინდება.

ხალხურ სიტყვიერებაში ჟანრთა შორის გენეტიკური კავშირის მკაფიო მაგალითებია ანდაზასა და პოეზიის სხვადასხვა სახეებს, ანდაზასა და იგავ-არაკს, ანდაზასა და სიტყვის მასალას, თიბვის ლექს-სიმღერებსა და სამგლოვიარო პოეზიას, საგმირო და საისტორიო, საგმირო-საისტორიო და სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერებას, ლეგენდას, თქმულებასა და გადმოცემას, მითსა და ლეგენდას შორის მრავალმხრივ სარგო ტრადიციული ურთიერთმიმართება, რაც ვლინდება გენეტიკური კავშირის მქონე ჟანრის ნაწარმოებთა ცალკეული ეპიზოდებისა და მოტივების ურთიერთმერწყმის სახით.

ფოლკლორულ ჟანრთა შორის გენეტიკური კავშირის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ანდაზა-აფორიზმებსა და ხალხურ ფილოსოფიურ ლრიკას შორის ურთიერთმიმართების საკითხი, რასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

საკვანძო სიტყვები. ფოლკლორი, გენეტიკური კავშირი, ანდაზა. აფორიზმი, ანექლოტი, ფილოსოფიური ლირიკა.

* * *

შესავალი. მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ზეპირსიტყვიერებამ განვითარების დიდი გზა განვლო. ამ გზაზე, მრავალ სხვა ფენომენთან ერთად, ჟანრებს შორის ჩამოყალიბდა გენეტიკური კავშირი, რაც სიტყვიერი ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი დარგების „ზეპირმა ტრადიციამ და უწყვეტმა შემოქმედებითმა პროცესმა განაპირობა“ (სიხარულიძე, 1964: 279). ამ პროცესში, სრულიად ბუნებრივად, ამა თუ იმ ჟანრის ფოლკლორული ნაწარმოები, მიუხედავად მისი გენეზისისა, ხშირად პოლიფუნქციის მატარებლად გვევლინება და სხვა ჟანრებსაც უკავშირდება. ამგვარი ვითარება გვაქვს საგმირო და საისტორიო, საგმირო-საისტორიო და სამგლოვიარო ზეპირსიტყვიერებაში, შრომისა (მთიბღურები) და სამგლოვიარო პოეზიაში, ლეგენდაში,

თქმულებასა და გადმოცემაში, მითსა და ლეგენდაში, ანდაზასა და სიტყვის მასალებში, ანდაზასა და აფორიზმში, ანდაზასა და პოეზიის სხვადასხვა სახეობებში, ანდაზასა და იგავ-არაკებში და სხვა, რაც მრავალმხრივ სარგო ტრადიციული ურთიერთმიმართებაა და ვლინდება გენეტიკური კავშირის მქონე ჟანრის ნაწარმოებთა ცალკეული ეპიზოდებისა თუ მოტივების ურთიერთშერწყმის სახით.

მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, შედარება-შეპირისპირებითი, კრიტიკული ანალიზის, სინთეზის მეთოდები.

მსჯელობა. ფოლკლორულ ჟანრთა შორის გენეტიკური კავშირის თავალსაზრისით მეტად საინტერესოა ანდაზა-აფორიზმებსა და ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკას შორის ურთიერთმიმართების პრობლემა. საყურადღებოა ისიც, რომ ძალიან ხშირად ქართული ხალხური ანდაზა სხვადასხვა სახის საანდაზო ლექსად გარდაიქმნება, ძალზე ხშირად კი – ფილოსოფიურ სტრიქონებად, რამდენადაც ხალხური პარემიის შემგონებლობა-სენტენცია იგივე საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ხალხური ფილოსოფიაა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზეპირსიტყვიერების უძველესი, ლაპიდარული ჟანრი ანდაზა სრულიად ბუნებრივად ილტვის აფორიზმად გადაქცევისაკენ და ამისი უამრავი მაგალითიც არსებობს. ზოგადად კი, როგორც თავის დროზე პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებდა, „ზოგჯერ პოეზიის (და არა მარტო პოეზიის – თ. შ.) ერთი დარგი სათავეს უდებს მეორეს“ (სიხარულიძე, 1964: 281), რაც ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, იმავდროულად, ანგარიშგასაწევი პროცესია და უსათუოდ ითხოვს გენეტიკურად მონათესავე ჟანრთა თემატიკის, მოტივებისა და ფუნქციების სათანადო შესწავლა-გაანალიზებას.

ხალხური ანდაზა მრავალი ეპოქის მანძილზე იხვეწებოდა, ლაპიდარულ ფორმას იღებდა, ჟანრად ყალიბდებოდა და, უკეთეს შემთხვევაში, აფორიზმის სახესაც იღებდა; დროთა ვითარებაში კი, როგორც ქართულ პარემიათა ცნობილი მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი აღნიშნავს, „ეროვნული ზეპირსიტყვიერების თანდათანობითმა განვითარებამ ხელი შეუწყო ანდაზათა ფოლკლორული წარმოშობის ერთ-ერთ გზას, რომელიც გენეტიკურად ხალხური სიტყვიერების სხვა რომელიმე ჟანრს უკავშირდება“ (ზანდუკელი, 1980: 191). ბუნებრივია, ეს მოკავშირე ჟანრები მრავალფეროვანია, რომელთა შორისაც განვითარების მაღალი დონით, პოეტურობითა და გამორჩეული სიბრძნით არის აღჭურვილი, ასევე, მრავალ ეპოქათა ტევრში გამოტარებული და ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შექმნილი ხალხური ფილოსოფიური ლირიკა.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ ფილოსოფიურ ლექსში სიკეთისადმი მსახურების სენტენცია სხვადასხვა ანდაზათა სინთეზით არის გადმოცემული:

... სიცოცხლეში ჭკვა იხმარე,
გაჭირვებულს დაეხმარე!
ნურას ავსა გაუკეთებ,
ნუ დაკარგავ სიმართლესო,
სადაც წახვალ, თან წაგყვება,
მოგინათებს სინათლესო...

(შიოშვილი, 2002: 89)

ძნელი არ არის, ამ შეგონებაში დავინახოთ ქართული ხალხური ანდაზების – „სიმართლე სინათლეა“, „სიმართლე შვილიშვილამდეო“, „ავსა ნუ იზამ და ავისა ნუ გეშინიაო“, „კარგი ქენი, წინ დაგხვდებაო“ – საუკუნოვანი სიბრძნე.

ქართული ხალხური პარემიოლოგიური მეტყველების დიდაქტიზმის თანახმად, სიკეთის თესვა უდიდესი სათნოებაა, ბოროტობა კი, როგორც იაკობ გოგებაშვილი მიუთითებს, აუბედურებს ადამიანს: „უბედურია ადამიანი, რომელიც სთესავს საზოგადოებაში ღვარძლსა. ეს ღვარძლი ამოდის, მრავლდება, მხამავს თანამემამულეთა, ხელს უშლის აღორძინებას და ზრდის ზნეობრივ დეფი-

ციტს, ჰზრწნის ქვეყანას“ (გოგებაშვილი, 1990: 202). ხალხური ანდაზები: „ეკლის ადგილას ეკალი ამოვაო“; „ეკლის ფესვზე ია არ ამოვაო“; „ეკალზე ეკალი ამოვაო“; „მოხუცი იმას მოიმკის, რაც ჯეილობაში დათესაო“; „რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო“ – მშვენიერ აფორიზმად ჩამოუყალიბებია ჩვენს ბრძენ ხალხს:

ეკლის ადგილზე ამოსვლა
ეკლისა არის წესია,
მოხუცი მომკის იმასვე,
რაც სიყრმით დაუთესია.

(ალიბეგაშვილი, 1992: 312)

ანდა:

რასაც დათესთ, იმას მომკით,
საიქიოს წინ დაგხვდებათ;
ამ სოფელს ხორციელობა
ხის ფოთოლივით გაცვივდება.

(უმეკაშვილი, 1964: 189)

ხალხური პარემია „სხვისი ავი ნუ გაგიხარდებაო“ ქართული ფილოსოფიური ლირიკის მშვენიერ სტრიქონებად ჩამოაქანდაკა ჩვენმა ბრძენმა სახალხო მთქმელმა:

მე სოფლის თავსა ვესახლე
და არ სოფელი ჩემს თავსა,
სოფელი კარგად მთავსობდა,
თუ მე სოფელი მეთავსა;
რაც მე სოფლისად მინდოდა,
წინ - წინ მოვიდა ჩემს თავსა.

(ქ. ხ. სიტყ, ქრესტ., 1970: 380)

ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ სიტყვის ძალა და ფასი, რაც სათანადოდ აისახა ხალხურ ანდაზებსა თუ საანდაზო ლექსებში. ენას, ნათქვამ სიტყვას რომ დიდი დაფიქრება და აწონ-დაწონვა სჭირდება, კარგად არის გამოთქმული ანდაზებში: „ენას ძვალი არ აქვს, სიტყვას ბაჟი არ აქვსო“; „ენა ყველაფერს იტყვისო“; „ენა ადამიანის დაუძინებელი მტერიაო“; „ენას აქეთ-იქიდან ბარჯგები რომ არ ქონდეს, ღუნიაზე არ დაეტეოდაო“; „ენით ამოკრული ვირის ტრინკზე ბელა არიო“ და სხვა ამგვარი ანდაზებით გამოთქმული უტყუარი სიბრძნე დიდებულად აისახა ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაში:

ტკბილმა ენამ, კარგმა სიტყვამ
ხმალი უკანვე ჩააგო,
თოფის ფეხშეყენებულის
კვესი უკანვე გადალო,
ამაყმა კაცმა, ბოროტმა
გული ხანჯალზე ააგო.

(უმეკაშვილი, 1964: 200)

აჭარაში გავრცელებული ერთი ხალხური ლექსის თანახმად,

... ენისაგან განგმირულსა
მკურნალობა არ სჭირდება,
ხანდაზმულსა კი შერცხვება,
მაგრამ ძვირი დაუჯდება.

(შიოშვილი, 2002: 32)

ამიტომაც ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ბრძნული შეგონებაა წინდახედულობა, მოზომილ-მოფიქრებული სჯა-ბაასი, რაც ხალხურ ანდაზათა აფორიზმად ამაღლების საუკეთესო მაგალითია:

შავს ლუდსა, წითელ ღვინოსა
განა სუყველას სმა უნდა?
ენაზე მოსულ სიტყვასა
განა სუყველას თქმა უნდა?

(ქ. ხ. პ., 1979: 69)

ხალხური ანდაზების შეურიგებლობა ავისა და უკეთურობისადმი („ავი მეზობლისაგან ცეცხლიც ნუ გინდა“, „ავისა კარგი ნუ გინდა, ნურც მისი მოსაგებელი“) საანდაზო ფილოსოფიურ ლექსად არის გავრცელებული; მისი ერთ-ერთი გურული ვარიანტი ამგვარია:

ბოქლომს გასაღები უნდა
თავისი მოსარგებელით,
ავისა კავი ნუ გინდა,
ნურც მისი მოსაგებელი.

(ბსუქცფა)

ავსა და უკეთურობას რომ გმობს, ხალხური ანდაზა ამგვარად გადმოგვცემს სიკეთის, კარგი ადამიანობის ხიბლს: „კარგობას წლები უნდა, თვარა გლახას წუთში ნახავო“; „კარგი ქენი, ქვაზე დადევი, გაივლი და წინ დაგხვდებაო“. ეს უტყუარი სენტენცია ფილოსოფიურ საანდაზო ლექსში ამგვარად ჟღერს:

თეთრისა თხისა ციკანსა
შორს შაეტყობა ვაცობა,
ისევ შენ გამოგადგება
ეგ შენი კარგი კაცობა.

(უმიკაშვილი, 1964: 195)

ხალხური პარემიის და მასთან გენეტიკურ კავშირში მყოფი საანდაზო ლექსების სიბრძნე ხშირად ხალხური ეპოსის გმირის – როსტომის პირით არის გაცხადებული:

როსტომ თქვა: ჩემი პასუხი
ჩინეთის ქვაზე სწერია:
ვისთვისაც ხმალსა ვიქნევდი,
ის გახდა ჩემი მტერია.

(უმიკაშვილი, 1964: 196)

ანდა:

როსტომ თქვა: სამი ქართული
ჩინეთის ქვაზე სწერია,
ვისზეც დავთესე სიკეთე,
ის უფრო ჩემი მტერია.

(ხ. ს., 1965: 366)

ეს საანდაზო ლექსები გენეტიკურ კავშირშია ანდაზებთან: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადაო“; „ვისაც სროლა ვასწავლე, იმან დამიმიზნაო“.

გმირი როსტომისავე პირით გვეუწყება საანდაზო სიბრძნე „ვაჟკაცი ერთხელ მოკვდებაო“, რომელიც აფორიზმულ ლექსად ჩამოიქნა:

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა,

ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა.

(ბ. ს., 1965: 366)

ხალხურ ანდაზებში ჩვენმა ხალხმა ოპტიმისტურად, უდიდესი ფილოსოფიური სტოიციზმით გამოხატა უნდობარი სიკვდილისადმი შეუგუებლობაცა და მისი გარდაუვლობაც: „სიკვდილი ყურს უკან გვაქვსო“; „სიცოცხლე და სიკვდილი ძმები არიანო“; „სიკვდილმა თქვა: უმიზეზოდ ერთი კაციც არ წამიყვანიაო“; „სიკვდილი ღვთის ვალიაო“; „სიკვდილი გადასახადი ვალიაო“; „სიკვდილს ვერ გაექცევით“; „სიკვდილს გინდ ეფერე და გინდ ემტერეო“; „ყველანი სიკვდილის შვილები ვართო“. ეს პარემიული სიბრძნე, ასევე, ადამიანური ღირსების ღრმა შეგნებით, სიკვდილისადმი უშიშრობით, სახელოვანი, ღირსეული სიცოცხლითა და მზისქვეშეთიდან სინდისის შეუბღალაობის შეგრძნებით განსვლის უდიდესი სურვილი აისახა ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაშიც:

კაცი სანამ ცოცხალია,
ნამუსს მისდიოს მუდამა,
მოკვდების, თანა ჩაყვების
ხუთიოდ ადლი სუდარა.

(შიოშვილი, 2002: 165)

ნამუსიან, შეურცხვენელ მიწიერ ცხოვრებასთან ერთად, სიკვდილის ვაჟკაცურად დაჯახბნვის იდეას ქადაგებს ხალხური პარემიის სიბრძნით შთაგონებული ხალხური ფილოსოფიური ლექსი:

ძრიან რად გაგვირვებია,
სიმდიდრე სიზმარიაო,
სიკვდილს რად დაჰლონებინარ,
სიკვდილი ღვთის ვალიაო.

(ქ. ხ. პ., 1979: 64)

ანდა:

ეგ სოფელი სთველია,
აქ არავინ დარჩება,
ყველა წასასვლელია.

(უმეკაშვილი, 1964: 188)

ქართველი ხალხის შეუპოვრობის, შინაარსიანი ცხოვრებით სიკვდილის დამარცხების ბრწყინვალე გამოხატულებაა ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის არაერთი ბრწყინვალე ნიმუშა და მათთან დაკავშირებული ხალხური ანდაზებიც: „ვისაც სიკვდილი აშინებს, ორჯერ კვდებაო“; „გულადი კაცი ერთხელ კვდებაო“; „ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარე იქ არისო“; „საცა გაილახები, იქვე დაიმარხებიო“ და სხვა. „წუთისოფლის სტუმრად“ მოვლენილ ქართველ კაცს კარგად აქვს გათავისებული ხალხური ანდაზების სიბრძნე და ამიტომაც ქადაგებს:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რასაც ერთურთს გავახარებთ,
ამის მეტი რა შეგვრჩება!
სამი ადლი ტილოს მეტი
სამარეში რა ჩავყვება?

(ქ. ხ. პ., 1979: 33)

ანდა:

მანამ მთელი ვარ, ვახარებ
ჩემთა ვარდთა და იათა,

მოკვდები – გაუხარდება
ჯერ მტერთა, შემდეგ – ჭიათა.

(უმეცემი, 1964: 206)

მრავალჭირგამოვლილმა ქართველმა ხალხმა მანვით მტერთა მოგერიებაც ვაჟკაცურად იცოდა და სიბრძნის, მოხერხებულობის სიკეთეც; ხალხური ანდაზა – „ხერხი სჯობია ღონესა თუ კაცი მოიგონებსა“ ჩვენმა ბრძენმა სახალხო მთქმელმა გარდათქვა დიდებულ ფილოსოფიურ ლექსად, რომელიც აკაკი წერეთელმა მშვენივრად, მიზანმიმართულად გამოიყენა „ბაში-აჩუკში“ სახალხო გმირის – ბიძინა ჩოლოყაშვილის მიერ მტრის დასამარცხებლად მოხერხებული გადაწყვეტილების მიღების მოტივატორად:

ნუ ეძალები წყალდიდსა,
უნდა ეძებდე ფონებსო;
ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსო.

(წერეთელი, 1989: 147)

დასკვნა. ამრიგად, ქართულ ხალხურ ანდაზებში, აფორიზმებსა და ფილოსოფიურ ლექსებში გადმოცემულია ჩვენი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე ნაფიქრ-ნააზრევი და უმეცემისა და გულმართალ სულიერ ქურაში გამოწრთობილი ზნეობრივი იდეალები სიკეთესა და ბოროტებაზე, ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, ძმობა-მეგობრობაზე და ურთიერთდახმარებაზე, მსჯელობა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე, სიცოცხლის უდიდეს სიყვარულზე, გმირობა-ვაჟკაცობასა და ჰუმანიზმზე და ზოგადად კი – ამ წარმავალ, ბინდისფერ წუთისოფელში ადამიანურობის, ზნეობრივად ცხოვრების არსზე, რითაც თვით სიკვდილიც კი დაიჯანბნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალიბეგაშვილი, გ. (1992). „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, თბილისი;
ბსუ-ს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მასალები, 2018, ბათუმი;
გოგებაშვილი, ი. (1990). „თხზულებანი“, ტ. 3. თბილისი;
ზანდუკელი, ფ. (1980). „ანდაზის გენეზისის საკითხისათვის“ - კრებულში: ფიქრია ზანდუკელი, „წერილები საბავშვო ფოლკლორზე“, თბილისი;
ჩხარტიშვილი, ნ. (2021). „ანდაზა მითხარ ძმობილო. ქართული ხალხური ანდაზები“, ბათუმი;
მაჭუტაძე, თ., შიოშვილი, თ. (2023) „ქართული და ფრანგული ანდაზები“, ბათუმი;
სიხარულიძე, ქ. (1964) „ხალხურ პოეტურ ჟანრთა გენეტიკური კავშირი (საგმირო და სამგლოვიარო პოეზია)“ – კრებულში „ქართული ფოლკლორი. მასალები და გამოკვლევები“, I-II. თბილისი;
უმეცემი, პ. (1964). „ხალხური სიტყვიერება“, ტ. 2, თბილისი;
„ქართული ხალხური პოეზია“, (1979). ტ. 7, თბილისი;
„ქართული ხალხური სიტყვიერება“, (1970). ქრესტომათია, თბილისი;
შიოშვილი, თ. (2002). „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წიგნი 1. ბათუმი;
წერეთელი, ა. (1989). „მხატვრული პროზა“, ტ. 3. თბილისი;
„ხალხური სიბრძნე“, (1965). ტ. 5, თბილისი.